საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ია გაბედავა – კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი – კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორები: ლ. ქ., გ. ბ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 16.04.2018

საჩივრის რეგისტრაციის № 039/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ი. გ.-ს მიმართ, /სიითი №/ სპეციალიზაცია - საერთო

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ი. გ.-სთვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 16 აპრილს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართეს ლ. ქ.-მ და გ. ბ.-მ და მოითხოვეს ადვოკატ ი. გ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 2018 წლის 30 აპრილს ლ. ქ.-მ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე წარადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება. 2019 წლის 26 მარტს ლ. ქ.-მ განხილვის კოლეგიის სხდომაზე წარადგინა ზეპირი განმარტება.

1.2 საჩივრის ავტორთა განცხადებით, 2016 წლის 28 იანვარს მცხეთის რაიონული სასამართლოს მიერ გ. ბ.-ს მიმართ გამოვიდა გამამტყუნებელი განაჩენი და სასჯელის სახედ განესაზღვრა 11 (თერთმეტი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

1.3 ლ. ქ.-ს განცხადებით, მან გამოძიების დაწყებისთანავე გაიცნო მცხეთის რაიონში მცხოვრები მ. დ., რომელიც დაპირდა, რომ გ. ბ.-ს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით დაეხმარებოდა და მოუძებნიდა ისეთ ადვოკატს, რომელიც უზრუნველყოფდა მისი პატიმრობიდან გათავისუფლებას. პირველად, გ. ბ.-ს საქმეში მ. დ.-ს მეშვეობით ჩაერთო ადვოკატი ა. ჭ., თუმცა საქმე ადგილიდან არ იძვროდა, რის შემდგომაც, კვლავ მ. დ.-ს მეშვეობით, ლ. ქ.-მ გაიცნო ადვოკატი ი. გ.. მ. დ.-მ საჩივრის ავტორს განუცხადა, რომ ი. გ. „პროკურატურის კაცი იყო“ და დაეხმარებოდა.

1.4 ლ. ქ.-ს მ. დ.-მ განუმარტა, რომ ადვოკატ ი. გ.-სთვის ჰონორარის სახით უნდა ჩაერიცხა 5000 ლარი, იმისათვის რომ საპროცესო შეთანხმება გაფორმებულიყო გ. ბ.-ს საქმეზე, რის შემდეგაც დამატებით 5000 ლარი უნდა გადაეხადა ადვოკატისთვის. ადვოკატმა ი. გ.-მ ლ. ქ.-ს დაპირდა, რომ საპროცესო შეთანხმებას მიაღწევდნენ და განუმარტა, რომ მასთან უნდა გაეფორმებინათ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება, რადგან ის შეძლებდა საპროცესო შეთანხმების გაფორმებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასჯელის მოხდის ვადა 11 წელი უცვლელად დარჩებოდა.

1.5 2016 წლის 05 აპრილს საჩივრის ავტორი და ადვოკატი ი. გ. ერთ-ერთ საბანკო დაწესებულებაში შეხვდნენ ერთმანეთს, ასევე, იქ იმყოფებოდნენ ადვოკატი ა. ჭ. და მ. დ., რა დროსაც, ლ. ქ.-მ საბანკო გადარიცხვის გზით, ადვოკატ ი. გ.-ს ჩაურიცხა ჰონორარის სახით 5000 ლარი. ამის შემდეგ, საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის გაფორმდა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება. მ. დ. იკისრა ვალდებულება, იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი ი. გ. ვერ მიაღწევდა საპროცესო შეთანხმებას ერთი თვის ვადაში გ. ბ.-ს საქმეზე, მ. დ.-ს უნდა დაებრუნებინა ლ. ქ.-სთვის გადახდილი 5000 ლარი. აღნიშნული თავდებობა ნოტარიულად იქნა დამოწმებული.

1.6 საჩივრის ავტორის - ლ. ქ.-ს განმარტებით, ადვოკატი ი. გ. ერთხელ დაესწრო გ. ბ.-ს სასამართლო სხდომას, რა დროსაც საქმის განხილვა გადაიდო, ვინაიდან ადვოკატმა საქმის მასალების გაცნობის მიზნით, სხდომის გადადება მოითხოვა. ადვოკატმა ორჯერ მოინახულა გ. ბ. საპატიმრო დაწესებულებაში. ლ. ქ.-ს განმარტებით, შესაძლებელია, ადვოკატი ი. გ. საქმესთან დაკავშირებით, მცხეთის პროკურატურაშიც იყო ნამყოფი საპროცესო შეთანხმების გაფორმების მოთხოვნით, თუმცა საქმეს მსვლელობა არ ჰქონდა. ამის შემდეგ, ლ. ქ.-მ ადვოკატ ი. გ.-ს მოსთხოვა გადახდილი ჰონორარის უკან დაბრუნება, თუმცა ადვოკატმა განუმარტა, რომ თანხის გადახდის ვალდებულება მ. დ.-ს ჰქონდა. თავის მხრივ, მ. დ.-მ ლ. ქ.-ს განუცხადა, რომ ადვოკატს უნდა დაებრუნებინა აღნიშნული თანხა.

1.7 საჩივრის ავტორი ლ. ქ. არ ეთანხმება ადვოკატ ი. გ.-ს პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ მან ადვოკატს სატელეფონო საუბრისას უთხრა, რომ მისგან არ ითხოვდა ჰონორარის დაბრუნებას და თანხას მ. დ. დაუბრუნებდა.

2. მოწმე მ. დ.-ს ახსნა-განმარტება:

2.1 2019 წლის 24 აპრილის განხილვის კოლეგიის სხდომაზე მ. დ.-მ მოწმის სახით წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება, რომლის მიხედვითაც, საჩივრის ავტორები არიან მისი მეზობლები და მასთან მივიდა ლ. ქ. და სთხოვა გ. ბ.-ს სისხლის სამართლის საქმეზე დახმარება.

2.2 მოწმის განცხადებით, პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის მიმდინარეობის დროს გ. ბ.-ს ინტერესებს წარმოადგენდა ადვოკატი ა. (გ.) ჭ., აგრეთვე, დაზარალებულის მამის სახელზე ლ. ქ.-მ მიწის ნაკვეთი გადააფორმა, იმ მიზნით, რომ საპროცესო შეთანხმება შემდგარიყო, თუმცა მიუხედავად ამისა, საპროცესო შეთანხმება არ გაფორმდა და პირველი ინსტანციის სასამართლომ გ. ბ.-ს 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, რის შემდგომაც, მ. დ. გ. ბ.-ს საქმის წარმოებისთვის ეძებდა სხვა ადვოკატს.

2.3 მოწმის განმარტებით, ის ერთ-ერთ ადვოკატთან შეხვედრის მიზნით მივიდა საადვოკატო ბიუროში, თუმცა იქ ადვოკატი არ დახვდა, რა დროსაც შემთხვევით გაიცნო ადვოკატი ი. გ., რომელიც თავად გამოეცნაურა მას და ჰკითხა ხომ არ სჭირდებოდა იურიდიული დახმარება.

2.4 მ. დ.-მ ადვოკატ ი. გ.-ს გააცნო გ. ბ.-ს საქმის მდგომარეობა, უთხრა რომ ის იყო ლ. ქ.-ს და, რადგანაც მას საჩივრის ავტორი მის ახლო ნათესავად მიაჩნდა და მისი დახმარება სურდა, აგრეთვე, ადვოკატს განუმარტა, რომ დაზარალებულის მამის თანხმობის მიუხედავად ვერ გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, ამიტომ იქნებ გაფორმებულიყო აღნიშნული შეთანხმება და გ. ბ.-ს სასჯელის ზომა შემცირებოდა, რაზეც ადვოკატმა ი. გ.-მ უპასუხა, რომ ძეძლებდა თავისუფლების აღკვეთის ვადის 5 ან 6 წლამდე შემცირებას და ამ საქმეს „100 პროცენტით გააკეთებდა“.

2.5 ადვოკატმა ი. გ.-მ მ. დ.-ს განუცხადა, რომ მის ანგარიშზე უნდა ჩაერიცხათ ჰონორარის სახით 5000 ლარი და ამ საქმეს მოაგვარებდა, მათ შორის მოელაპარაკებოდა პროკურორს საპროცესო შეთანხმებაზე, დაესწრებოდა სასამართლო პროცესებს. მ. დ.-მ მის ხელთ არსებული გ. ბ.-ს საქმის მასალები გადასცა ადვოკატს.

2.6 მოწმის განცხადებით, მეორე დღეს ბანკის შენობაში ერთმანეთს შეხვდნენ ლ. ქ. და მისი ახლობელი - გურამი, ადვოკატი ი. გ. და მ. დ., ამ შეხვედრას არ ესწრებოდა ა. ჭ..

2.7 მოწმის განცხადებით, ლ. ქ.-მ მას უთხრა, რომ თუ ის თავდებში დაუდგებოდა ადვოკატს, ამ შემთხვევაში, გადაურიცხავდა მას ჰონორარის თანხას, რაზეც მ. დ.-მ თანხმობა განაცხადა.

2.8 მოწმის განმარტებით, ის შეხვდა ადვოკატ ი. გ.-ს და ჰკითხა, რა ჰქონდა გაკეთებული გ. ბ.-ს საქმეზე, მან კი უპასუხა, რომ საპროცესო შეთანხმების გაფორმებისთვის პროკურატურა 22 000 ლარს ითხოვდა, ყველაზე მცირე სასჯელზე შეთანხმებისთვის 100 000 ლარი იქნებოდა საჭირო.

2.9 მ. დ.-ს განმარტებით, მას ურეკავდა ლ. ქ. და სთხოვდა, რომ ადვოკატს უკან დაებრუნებინა გადარიცხული ჰონორარი 5000 ლარი, ადვოკატი ი. გ. კი ეუბნებოდა, რომ მას უნდა დაებრუნებინა ლ. ქ.-სთვის 5000 ლარი, რადგანაც მან აიღო თანხის დაბრუნების ვალდებულება.

2.10 მ. დ.-მ უარი განაცხადა, ლ. ქ.-ს მიერ ადვოკატისთვის გადახდილი ჰონორარის დაბრუნებაზე. მოწმის განამრტებით, შესაძლებელი იყო ეფიქრა 5000 ლარის გადახდაზე იმ შემთხვევაში, თუ „რაიმე მაინც ექნებოდა გაკეთებული“ ადვოკატ ი. გ.-ს გ. ბ.-ს საქმეზე, თუმცა მას არ გაუწევია შესაბამისი იურიდიული მომსახურება და არ უცდია საპროცესო შეთანხმება გაფორმებულიყო.

3. ადვოკატის პოზიცია:

3.1 ადვოკატმა ი. გ.-მ 2018 წლის 26 აპრილს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, რომლის მიხედვითაც, 2016 წელს მის საადვოკატო ბიუროში მივიდა მ. დ., რომელმაც გააცნო საქმის დეტალები და შესთავაზა დაეცვა გ. ბ.-ს ინტერესები სისხლის სამართლის საქმეზე.

3.2 ადვოკატმა ი. გ.-მ ლ. ქ.-ს განუმარტა, რომ საქმესთან დაკავშირებით გარანტიას ვერ მისცემდა, თუმცა ეცდებოდა საპროცესო შეთანხმება გაფორმებულიყო. შეთანხმების შესაბამისად, ლ. ქ.-მ ადვოკატს ანგარიშზე ჩაურიცხა ჰონორარის სახით 5000 ლარი, რომლის ფარგლებში საპროცესო შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებით, უნდა გაეწია იურიდიული მომსახურება, მათ შორის, სასამართლო წარმომადგენლობა განეხორციელებინა.

3.3 მ. დ.-მ იკისრა ვალდებულება დაებრუნებინა ლ. ქ.-სთვის გადახდილი ჰონორარი, იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი ვერ მიაღწევდა საპროცესო შეთანხმებას. ადვოკატის განმარტებით, მ. დ. იყო „ამ საქმეში პასუხისმგებელი პირი". ლ. ქ.-მ ადვოკატს განუცხადა, რომ მან მ. დ.-სგან იცოდა - საქმესთან დაკავშირებით გარანტიის მიცემის თაობაზე, რაც ადვოკატმა უარყო და ლ. ქ.-ს განუმარტა, რომ მას დაპირება საპროცესო შეთანხმების გაფორმების თაობაზე არ გაუცია.

3.4 ადვოკატის განმარტებით, ის დაუკავშირდა საჩივრის ავტორს - ლ. ქ.-ს დანუცხადა შემდეგი: „არ გამოდის საქმე და რა ვქნათ", რაზეც საჩივრის ავტორმა უპასუხა, რომ მასთან წყვეტდა ურთიერთობას, ეს პოზიცია ჰქონდა გ. ბ.-საც, ამიტომ და აღარ დაკავშირებოდა მას, თანხას კი მ. დ. დაუბრუნებდა, რის შემდეგაც სხვა ადვოკატს მიმართავდა.

3.5 ადვოკატის განმარტებით, ის ორჯერ იყო ბრალდებულ გ. ბ.-სთან პენიტენციურ დაწესებულებაში. მას შემდეგ, რაც ლ. ქ.-მ განუცხადა, რომ აღარ სურდა მისი საადვოკატო მომსახურება, გ. ბ.-ს მოსანახულებლად ციხეში აღარ შესულა და არც სასამართლოსთვის უცნობებია, რომ ის აღარ წარმოადგენდა ბრალდებულის ინტერესებს.

3.6 ადვოკატის განცხადებით, გ. ბ.-მ განუცხადა, რომ თანხა უნდა დაებრუნებინა, რადგანაც სხვა ადვოკატისთვის უნდა მემართათ.

3.7 ადვოკატის განმარტებით, ლ. ქ.-სთან ურთიერთობის შეწყვეტის შემდგომ, საერთო ახლობელმა - გ. ბ.-მ განუცხადა რომ მ. დ. დაუბრუნებდა თანხას ლ. ქ. და სთხოვა, რომ საპროცესო შეთანხმების გაფორმების მოთხოვნით გ. ბ.-ს საქმეზე დაეწერა წერილობითი განცხადება პროკურატურაში წარსადგენად, რაც ადვოკატმა შეასრულა.

3.8 ადვოკატის განცხადებით, მას ოფისში მიაკითხა მ. დ.-მ და აგრესიულად განუცხადა, რომ ლ. ქ.-ს საქმეზე არაფერი გაეკეთებინა, თანხის დაუბრუნებაზე კი თავად იყო პასუხისმგებელი.

3.9 ადვოკატის განმარტებით, მან ლიანა ბრალდებულ გ. ბ.-ს საქმესთან დაკავშირებით განახორციელა შემდეგი მოქმედებები: ორჯერ მოინახულა გ. ბ. საპატიმრო დაწესებულებაში, მათ შორის, გაეცნო საქმის მასალებს, პროკურატურაში იმყოფებოდა სამჯერ და ზეპირსიტყვიერად გაესაუბრა პროკურორს და მის მოადგილეს მცხეთის რაიონულ პროკურატურაში, ასევე, წარადგინა განცხადება საპროცესო შეთანხმების გაფორმების თაობაზე.

3.10 ადვოკატის განცხადებით, მის მიერ განხორციელებული საადვოკატო მომსახურება არ არის პროპორციული მიღებული ჰონორარის ოდენობის, თუმცა თანხის დაბრუნების ვალდებულება ეკისრებოდა მ. დ.-ს.

4. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

4.1 2018 წელის 22 ივნისს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ი. გ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე. საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ ადვოკატმა ი. გ.-მ შეთანხმების შესაბამისად, არ განახორციელა საადვოკატო მომსახურება და საჩივრის ავტორებს დაპირდა საპროცესო შეთანხმების გაფორმებას, შესაძლოა, დარღვეული ყოფილიყო „ადვოკატათა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა" პუნქტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5 და 8.3 მუხლები.

4.2 საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ ადვოკატს არ დაუბრუნებია საჩივრის ავტორისთვის - ლ. ქ.-სთვის მიღებული ჰონორარის ის ნაწილი, რომლის ფარგლებშიც მას არ გაუწევია საადვოკატო მომსახურება, შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო შემდეგი აპეკ-ის 8.15.

II სამოტივაციო ნაწილი

5. საქმის ფაქტები:

განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

5.1 2016 წელს ლ. ქ.-მ მ. დ.-ს მეშვეობით, გაიცნო ადვოკატი ი. გ., რომელსაც ლ. ქ.-ს შვილის - გ. ბ.-ს სისხლის სამართლის საქმეზე უნდა გაეწია საადვოკატო მომსახურება.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა მიერ წარმოდგენილი ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებები;

5.2 2016 წლის 05 აპრილს საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება გაფორმდა, ერთის მხრივ, ლ. ქ.-ს და მ. დ.-ს და მეორე მხრივ, ადვოკატ ი. გ.-ს შორის გ. ბ.-ს ინტერესების დასაცავად, სისხლის სამართლის საქმეზე, რაც მოიცავდა საპროცესო შეთახნემბის გაფორმების თაობაზე იურდიული მომსახურების გაწევას, მათ შორის, „საგამოძიებო ორგანოებში, პროკურატურაში, და საჭიროების შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოში წარმომადგენლობას".
განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებები;
2. „იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე" ხელშეკრულება (ს.ფ.05).

5.3 ლ. ქ.-მ ადვოკატს საადვოკატო მომსახურების ჰონორარის სახით ჩაურიცხა 5000 ლარი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა მიერ წარმოდგენილი ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებები;

5.4 მ. დ.-მ იკისრა ვალდებულება, რომ ის დაუბრუნებდა ლ. ქ.-ს მის მიერ ადვოკატისთვის გადახდილ ჰონორარს 5000 ლარს, თუ ერთი თვის ვადაში, ადვოკატი ი. გ. ვერ შეძლებდა საპროცესო შეთანხმების მიღწევას გ. ბ.-ს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

2016 წლის 05 აპრილის სანოტარო აქტი - ს.ფ.08

5.5 ადვოკატ ი. გ.-ს არ უწარმოებია გ. ბ.-ს საქმე იმ ფარგლებში, რისთვისაც მან მიიღო საადვოკატო მომსახურების ჰონორარი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ლ. ქ.-ს ახსნა-განმარტება;

ადვოკატ ი. გ.-ს ახსნა-განმარტება;

მოწმე მ. დ.-ს ახსნა-განმარტება;

5.6 საქმეში სადავო გარემოებებია, იმასთან დაკავშირებით, დაპირდა თუ არა ადვოკატი ი. გ. საჩივრის ავტორს, რომ ის აუცილებლად შეძლებდა საპროცესო შეთანხმების გაფორმებას გ. ბ.-ს საქმესთან დაკავშირებით, რადგან მხარეებმა ამასთან დაკავშირებით, განსხვავებული პოზიციები წარმოადგინეს:
საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ი. გ.-მ განუცხადა, რომ ის შესაძლებელი იყო საპროცესო შეთანხმების გაფორმება გ. ბ.-ს სისხლის სამართლის საქმეზე და შესაბამისად, გადაწყვიტა მისთვის ჰონორარის სახით ჩაერიცხა 5000 ლარი. ადვოკატის განცხადებით, ის გ. ბ.-ს საქმეში ჩაერთო საპროცესო შეთანხმების გაფორმების მიზნით, თუმცა ის არ დაპირებია ლ. ქ.-ს, რომ აუცილებლად შეძლებდა საპროცესო შეთანხმების გაფორმებას, არამედ განუმარტა, რომ ეცდებოდა გაეფორმებინა შეთანხმება.

მოწმის მ. დ.-ს განმარტებით, ადვოკატმა ი. გ.-მ შეხვედრისას განუცხადა, რომ გ. ბ.-ს საქმეზე სასჯელის ზომის შემცირებას შეძლებდა თუ გ. ბ.-ს სისხლის სამართლის საქმეში ჩაერთვებოდა და შესაბამისად, საპროცესო შეთანხმების გაფორმებას მოახერხებდა.

განხილვის კოლეგია მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებებისა და მტკიცებულებების შეფასების შედეგად, მიიჩნევს, რომ გ. ბ.-ს სისხლის სამართლის საქმეზე ადვოკატ ი. გ.-ს მონაწილეობის მიზანს წარმოადგენდა საპროცესო შეთანხმების გაფორმების თაობაზე საადვოკატო მომსახურების განხორციელება და შესაბამისად, საჩივრის ავტორთა მოლოდინი იყო იყო, რომ ადვოკატი შეძლებდა საპროცესო შეთანხმების მიღწევას, თუმცა აღნიშნული არ წარმოადგენს იმის დასაბუთებას, რომ ადვოკატმა გარანტია მისცა თავის კლიენტს საპროცესო შეთანხმების აუცილებლად გაფორმების თაობაზე.

6. შემაჯამებელი დასკვნა

განხილვის კოლეგიამ შეისწვლა დისციპლინური საქმის მასალები, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და თვლის, რომ სადისციპლინო კოლეგიაში დისციპლინური საქმის განხილვისას ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობით დადასტურდა, რომ ადვოკატ ი. გ.-ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა. ეთიკის კომისიის მიერ დისციპლინური სახდელის შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა დისციპლინური გადაცდომის შინაარსი და სიმძიმე.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ი. გ.-ს მიერ დარღვეულია შემდეგი მუხლები:

„ადვოკატათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები: „ადვოკატი ვალდებულია: ა) კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები; ბ) ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლი: „კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: „ადვოკატმა კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად უნდა განახორციელოს წარმომადგენლობა”.

7.2 ადვოკატს კლიენტთან შეთანხმების შემდგომ, წარმოეშობა პროფესიული პასუხისმგებლობა დაიცვას ეთიკური ვალდებულებები, მათ შორის კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად განახორციელოს იურიდიული მოქმედებები, რისთვისაც მიმართავს მას კლიენტი. ადვოკატის მიერ მასზე მინდობილი საქმის სრულყოფილად და კეთილსინდისიერად წარმოება შეუძლებელია, თუ დარღვეულია ნდობის პრინციპი.

7.3 ადვოკატ - კლიენტის ურთიერთობა ნდობის პრინციპს ემყარება. ადვოკატს, რომელსაც საკუთარი ნებით ირჩევს კლიენტი, ნდობას უცხადებს ისეთი პროფესიული თვისებების გამო, როგორიცაა ადვოკატის პირადი ღირსება, პატიოსნება, შეუვალობა, კომპეტენტურობა და დამოუკიდებლობა.

7.4 განსახილველ შემთხვევაში, დგინდება რომ 2016 წელს მხარეთა შორის შეთანხმების შესაბამისად, ადვოკატმა ი. გ.-მ აიღო ვალდებულება ეწარმოებიანა კლიენტთან ურთიერთობაში უფლებამოსილი პირის ლ. ქ.-ს შვილის - გ. ბ.-ს სისხლის სამართლის საქმე. განხილვის კოლეგია ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საჩივრის ავტორმა ანდო თავისი საქმე ადვოკატს იმ მიზნით, რომ მას განეხორციელებინა იურიდიული მოქმედებები სისხლის სამართლის საქმეზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების მისაღწევად.

7.5 ადვოკატი აცხადებს, რომ მან შეადგინა საპროცესო შეთანხმების მიღწევის თაობაზე წერილობითი განცხადება პროკურატურაში წარსადგენად გ. ბ.-ს საქმესთან დაკავშირებით, თუმცა ამასთან განმარტავს, რომ აღნიშნული დოკუმენტი შეადგინა იმ ეტაპზე, რომდესაც ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა შეწყდა ლ. ქ.-ს ინიციატივით და ამის შემდგომ, საერთო ახლობელმა გ. ბ.-მ სთხოვა აღნიშნული განცხადების დაწერა. მოცემულ შემთხვევაში, კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატმა უნდა იმოქმედოს კლიენტთან შეთანხმების შესაბამისად და მისი ინტერესების გათვალისწინებით, მით უფრო, თუ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა შეწყდა, ადვოკატს არ აქვს უფლებამოსილება თავისი ინიციატივით მესამე პირთან შეთანხმებით, განახორციელოს რაიმე იურიდიული მოქმედება ყოფილი კლიენტის საქმეზე, თუნდაც მიიჩნევდეს, რომ ეს ყოფილი კლიენტის ინტერესებისთვის სასარგებლოდ იქნება.

7.6 კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატს არ წარმოუდგენია შესაბამისი მტკიცებულებები, რაც დაადასტურებდა იმ გარემოებას, რომ მან ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის პერიოდში შეასრულა გარკვეული მოქმედებები გ. ბ.-ს ინტერესების სასარგებლოდ საპროცესო შეთანხმების

მისაღწევად და შესაბამისად, კვალიფიციურად აწარმოა კლიენტის საქმე, მათ შორის არ არის წარმოდგენილი რაიმე სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც სარწმუნოს გახდიდა იმ გარემოებას, რომ ადვოკატმა გასწია გარკვეული იურიდიული მომსახურება კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით.

7.7 კოლეგია ასევე ყურადღებას ამახვილებს 2016 წლის 05 აპრილის საადვოკატო მოსმახურების ხელშეკრულებაზე, რომელიც ადვოკატ ი. გ.-ს მიერ გაფორმებულია არამხოლოდ საჩივრის ავტორთან, რომლის შვილის ინტერესების დაცვის მიზნით გაფორმდა აღნიშნული შეთანხმება, არამედ მესამე პირთანაც - მ. დ.-სთან, რომელსაც არ ჰქონდა კლიენტის სტატუსი, თუმცა ხელშეკრულების პირველ ნაწილში (ხელშეკრულების მხარეები) მითითებულია, როგორც „კლიენტი". ადვოკატ ი. გ.-ს პროფესიული პასუხისმგებლობა გააჩნდა კლიენტთან - გ. ბ.-სთან და მასთან ურთიერთობაში უფლებამოსილ პირთან. კოლეგია მიიჩნევს, რომ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მიზანს წარმოადგენდა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დარეგულირება. წერილობითი ხელშეკრულებიდან არ ირკვევა, რა მიზნით აქვს გაფორმებული ადვოკატ ი. გ.-ს მ. დ.-სთან, როგორც „კლიენტთან" საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება.

7.8 განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატ ი. გ.-ს მიერ დაირღვა შემდეგი მუხლი:

> ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15: ,,კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი."

7.9 ეთიკის კომისიამ 2014 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილებაში დაადგინა: „საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას."(იხ.ეთიკის კომისიის 2014 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე N037/14).

7.10 საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2016 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ „იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატს კლიენტისაგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური, ხოლო წარმომადგენელმა, ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი, ხოლო დარჩენილი თანხა უნდა დაუბრუნოს კლიენტს. ადვოკატის პროფესიული ქცევის აღნიშნული სტანდარტი ემსახურება კლიენტის ინტერესებს და ადვოკატის ავტორიტეტის დაცვას, გამომდინარეობს ადვოკატის ვალდებულებიდან იმოქმედოს კლიენტის ინტერესებით, თავისი ქცევით პატივისცემას იწვევდეს კლიენტში“. (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/17-16).

7.11 განსახილველ შემთხვევაში, დგინდება, რომ ლ. ქ.-მ ადვოკატ ი. გ.-ს გ. ბ.-ს საქმეზე საადვოკატო მომსახურების განხორციელების მიზნით, ჰონორარის სახით ჩაურიცხა 5000 ლარი. საჩივრის ავტორის პოზიციით, მას შემდეგ, რაც შეატყო, რომ „საქმე წინ არ მიიწევდა“ ადვოკატს მოსთხოვა გადახდილი ჰონორარის უკან დაბრუნება, თუმცა ადვოკატმა უარი განუცხადა ჰონორარის დაბრუნებაზე.

7.12 2016 წლის 05 აპრილის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მიხედვით, ხელშეკრულების საგანი მოიცავდა - საგამოძიებო ორგანოებში, პროკურატურაში და საჭიროების შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოში. ადვოკატი ადასტურებს, რომ მის მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურების მოცულობა ნაკლებია, ვიდრე მის მიერ მიღებული ჰონორარის ოდენობა, თუმცა ადვოკატი უთითებს, ჰონორარის დაბრუნების ვალდებულება მ. დ.-ს აკისრია, რადგან მან ნოტარიული აქტის გაფორმებით, დაადასტურა, რომ საპროცესო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ის იკისრებდა ვალდებულებას დაებრუნებინა გადახდილი ჰონორარი საჩივრის ავტორისთვის. მოწმე მ. დ. ადასტურებს, რომ მისი ნებით განხორციელდა სანოტარო აქტის გაფორმება, რის საფუძველზეც იკისრა ჰონორარის დაბრუნების ვალდებულება, თუმცა ამასთან, უთითებს, რომ ადვოკატ ი. გ.-ს არ განუხორციელებია რაიმე იურიდიული მოქმედებები საპროცესო შეთანხმების გაფორმებისთვის და შესაბამისად, ადვოკატს აკისრია ვალდებულება დააბრუნოს მიღებული ჰონორარი.

7.13 განხილვის კოლეგია ადგენს, რომ ადვოკატი ორჯერ იმყოფებოდა სასჯელაღსრულების დასწესებულებაში გ. ბ.-ს მოსანახულებლად. ადვოკატი განმარტავს, რომ ზეპირი ფორმით გაესაუბრა პროკურაროსა და მის მოადგილეს, თუმცა წერილობითი კომუნიკაცია საქმესთან დაკავშირებით საგამოძიებო ორგანოსთან არ ჰქონია. ზეპირი ფორმით საგამოძიებო ორგანოსთან გასაუბრებას კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ რაიმე შედეგი არ მოჰყოლია. მხარეები ადასტურებენ რომ საადვოკატო მომსახურების დაწყებიდან მცირე პერიოდის გასვლის შემდგომ, ლ. ქ.-ს ინიციატივით შეწყდა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა. ამასთან, კოლეგია ითვალისწინებს იმ გარემოებასაც, რომ ადვოკატი დაუკავშირდა ლ. ქ.-ს და უთხრა: „არ გამოდის საქმე და რა ქვნათ“, რაზეც საჩივრის ავტორმა უპასუხა, რომ მას აღარ სურდა გაეგრძელებინა მისი საქმისწარმოება და მოითხოვა გადახდილი ჰონორარის უკან დაბრუნება.

7.14 ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატს პროფესიული პასუხისმგებლობისგან არ ათავისუფლებს ის გარემოება, რომ საადვოკატო

მომსახურების ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ - მ. დ.-მ იკისრა ვალდებულება ადვოკატისთვის გადახდილი ჰონორარი დაებრუნებინა გარკვეული პირობების დადგომის შემთხვევაში. კოლეგია განმარტავს, რომ შესაძლებელია, ადვოკატ-კლიენტის შეთანხმება ითვალისწინებდეს მესამე პირის პასუხისმგებლობას ადვოკატისთვის გადახდილი ჰონორარის დაბრუნების შემთხვევებზე, თუმცა აღნიშნული საფუძველი არ შეიძლება ადვოკატს ათავისუფლებდეს ეთიკური ვალდებულებების დაცვისგან. შესაბამისად, კოლეგია მიიჩნევს, რომ გ. ბ.-ს სისხლის სამართლის საქმეზე განხორციელებული მომსახურება არ იყო პროპორციული მიღებული ჰონორარის და შესაბამისად, ადვოკატის მიერ დაირღვა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის 15 ნაწილი. ამასთან, განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ეთიკის კომისიის კომპეტენციას არ მიეკუთვნება იმსჯელოს გამოუმუშავებელი ჰონორარის ოდენობისა და მისი დაბრუნების საკითხთან დაკავშირებით, რის თაობაზეც მხარეს შეუძლია მიმართოს საერთო სასამართლოებს.

7.15 განხილვის კოლეგია ადვოკატ ი. გ.-ს მიერ კლიენტისათვის საქმის შედეგთან დაკავშირებით გარანტიის მიცემის თაობაზე აღნიშნავს, რომ საქმეში არ არის წარმოდგენილი სარწმუნო მტკიცებულებები, რაც იქნებოდა საკმარისი საფუძველი იმის დასასაბუთებლად, რომ ადვოკატმა ი. გ.-მ მისცა გარანტია ლ. ქ.-ს, რომ ის აუცილებლად შეძლებდა საპროცესო შეთანხმების გაფორმებას გ. ბ.-ს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებით, დგიდნება, რომ ადვოკატმა საჩივრის ავტორს განუცხადა, რომ შესაძლებელი იყო საპროცესო შეთანხმების მიღწევა საქმესთან დაკავშირებით. კოლეგია, საქმეში წარმოდგენილ 2016 წლის 05 აპრილს გაფორმებულ სანოტარო აქტთან დაკავშირებით, აღნიშნავს, რომ მოცემული აქტით არ დასტურდება, ადვოკატის მიერ საქმის შედეგის თაობაზე დაპირება, არამედ, აღნიშნული შეეხება მ. დ.-ს ნაკისრ ვალდებულებას, ჰონორარის დაბრუნების თაობაზე.

7.16 მოცემულ შემთხვევაში, კოლეგიამ უნდა იმსჯელოს ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომაზე, რა დროსაც, უნდა გაითვალისწინოს ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის სახე, სიმძიმე, პროფესიისათვის მიყენებული ზიანი, კლიენტისათვის მიყენებული ზიანი, ადვოკატის საქმიანი რეპუტაცია, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილი დისციპლინური გადაცდომები, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმა და სხვა გარემოებები, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსის ძირითადი მიზნის მისაღწევად.

7.17 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ საქმეზე დს-შ/3-15 განმარტა, რომ: ,,დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი - კონკრეტულის სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის ჩადენილი გადაცდომის სიმძიმის და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება.”

7.18 მოცემულ შემთხვევაში, განხილვის კოლეგია სახდელის ფორმის განსაზღვრისას, ითვალისწინებს ადვოკატის მიერ დარღვეული ეთიკური ვალდებულებების შედეგად, საჩივრის ავტორისადმი მიყენებულ ზიანს, ამასთან კოლეგია ითვალისწინებს ადვოკატის პოზიციას მის მიერ ეთიკური ვალდებულებების დარღვევის თაობაზე, მათ შორის, იმ გარემოებას, რომ

ადვოკატი აცნობიერებს, რომ მას კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ არ შეუსრულებია საადვოკატო მომსახურება მიღებული ჰონორარის პროპორციულად.

7.19 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატის დისციპლინირების მიზანი არის არა მისი დასჯა, არამედ ის გარემოება, რომ ადვოკატმა გააცნობიეროს, რატომ შეფასდა მის მიერ განხორციელებული ქმედებები, პროფესიული ნორმების დარღვევად, რისი გათვალისწინებაც შემდგომში დისციპლინური გადაცდომის პრევენციას უზრუნველყოფს. დისციპლინური სახდელის ზომის გამოყენება ემსახურება საზოგადოების დაცვას ადვოკატის არაეთიკური ქცევისაგან და პროფესიული ღირებულებების დაცვას, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის დამკვიდრებას.

7.20 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ მოცემული საქმის გარემოებებიდან და არსებული მტკიცებულებებიდან გამომდინარე, ადვოკატ ი. გ.-ს მიმართ უნდა იქნას გამოყენებული დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება.

7.21 განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი ნაწილით, 34-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 35-ე, მუხლებით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 35-ე მუხლით, 40-ე მუხლის მეორე ნაწილით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №039/18 ადვოკატ ი. გ.-ს მიმართ /სიითი №/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. ადვოკატ ი. გ.-ს უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში ეთიკის კომისიაში საჩივრის შემოტანის გზით დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/